

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების რექტორის 2024 წლის 19 ივლისის #199/01-01 ბრძანების საფუძველზე

ფიზიკის დეპარტამენტში გამოცხადებული კონკურსის უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 31 ივლისის #91/2024 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული საკონკურსო კომისიის

შემაჯამებელი ოქმი

ქ. თბილისი

10 სექტემბერი, 2024

თსუ მე-2 კორპუსი, ოთახი # 044

**სხდომას კომისიის 4 წევრიდან ესწრებოდა 4 წევრი:**

1. არჩილ უგულავა - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარე);
2. ალექსანდრე შენგელაია - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე);
3. ნანა შათაშვილი - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;
4. თამარ ჭელიძე - თსუ-ს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (კომისიის მდივანი);

**დღის წესრიგი:**

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტზე არაწრფივი მოვლენების ფიზიკის კათედრის პროფესორის სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება.
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსთვის გადაცემა.

**მოისმინეს:** კომისიის თავმჯდომარის არჩილ უგულავას ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსის ორივე ეტაპის ჩატარებისა და ფარული კენჭისყრის შედეგების შესახებ. კიდევ ერთხელ აღინიშნა, რომ საკონკურსო დოკუმენტაცია იყო დალუქულ მდგომარეობაში და კანდიდატის საკონკურსო დოკუმენტაციის ლუქებისა და შეფუთვის სიმრთელე დარღვეული არ იყო.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტის დეპარტამენტზე არაწრფივი მოვლენების ფიზიკის კათედრის პროფესორის (ა-კატეგორია) ერთი საკონკურსო თანამდებობის დასაკავებლად საბუთები შემოიტანა ერთმა კანდიდატმა - ფიზიკა მათემატიკის მეცნიერებათ დოქტორმა რამაზ ხომერიკმა.

კომისიის თავმჯდომარემ მიმოიხილა კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, გასაუბრებისა და კენჭისყრის შედეგები.

აღინიშნა, რომ რამაზ ხომერიკის განათლება: 1981-1986 თსუ ფიზიკის ფაკულტეტი, ფიზიკოსი, სპეციალობა-თეორიული ფიზიკა; აკადემიური/სამეცნიერო ხარისხი: ფიზ.მათ. მეცნ. დოქტორი; სამსახურებრივი გამოცდილება: 2009-დღემდე - თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფიზიკის დეპარტამენტი, არაწრფივი მოვლენების კათედრა, ასოცირებული პროფესორი; 2016-2024 - თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, 2006-2009 - თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფიზიკის დეპარტამენტი, არაწრფივი მოვლენების კათედრა, ასისტენტ პროფესორი; 2006, 2005, 2001, 2000 წლებში ფლორენციის უნივერსიტეტის (იტალია), მონპელიეს უნივერსიტეტის (საფრანგეთი), ოკლაჰომას უნივერსიტეტის (აშშ), ბაიროიტის უნივერსიტეტის (გერმანია) მკვლევარი, 1992-2006 თსუ ფიზიკის ფაკულტეტის მეცნიერ თანამშრომელი; პედაგოგიური სტაჟი: 6 წელზე მეტი, შეთავსებით მუშაობა: მონპელიეს უნივერსიტეტი, მოწვეული პროფესორი - შეესაბამება ვაკანსიის პროფილს და სრულიად აკმაყოფილებს მოთხოვნებს. შესაბამისად კონკურსანტმა I კატეგორიის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია აკმაყოფილებს მოთხოვნებს“.

II კატეგორია - პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან - აღინიშნა, რომ კონკურსანტის პედაგოგიური გამოცდილება: 2006 წლიდან დღემდე თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტის ასოცირებული/ასისტენტ პროფესორი, მის მიერ შემოთავაზებული და წაკითხული კურსები ბაკალავრიატის 5 და მაგისტრატურის 2 საგანში, სასწავლო-მეთოდური საქმიანობა: ოპტიკა, ფიზიკური ამოცანების კომპიუტერული უზრუნველყოფა, არაწრფივი მოვლენების ფიზიკა 2, ფაზური გადასვლები და კრიტიკული მოვლენები, ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტსა და ფიზიკის დეპარტამენტზე განხორციელებულ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სავალდებულო/არჩევითი კურსებია. წარმოდგენილი სილაბუსების შინაარსი და ფორმა სრულიად შეესაბამება თსუ-ში დადგენილ მოთხოვნებს.

კომისიის გადაწყვეტილებით II კატეგორიის მიხედვით კონკურსანტმა რამაზ ხომერიკმა მიიღო შეფასება „მაღალი“.

III კატეგორია - სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა - კომისიის თავმჯდომარემ აღინიშნა, რომ კონკურსანტს აქვს 87 პუბლიკაცია WEB of SCIENCE იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალებში, 3 სხვა მნიშვნელოვანი პუბლიკაცია, უკანასკნელ წლებში მონაწილეობდა 9 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში, არის 4 საერთაშორისო და 5 ეროვნული

ფონდების მიერ დაფინანსებული პროექტის ხელმძღვანელი/ძირითადი შემსრულებელი; სამეცნიერო თანამშრომლობა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის არაწრფივი მოვლენების ფიზიკის კათედრის წევრებთან (პროფ. ა.უგულავასთან - სტატისტიკური ფიზიკის, ხოლო ასისტ. პროფ. ზ. ტოკლიკიშვილთან არაწრფივი მოვლენების ფიზიკის თემატიკებზე), აქვს თანამშრომლობა უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან: მაქს პლანკის რთული სისტემების ფიზიკის ინსტიტუტი, დრეზდენი (გერმანია), იენას უნივერსიტეტი (გერმანია), ECOLE NORMALE SUPERIEURE DE LYON, ლიონი (საფრანგეთი), SISSA (იტალია), ფლორენციის უნივერსიტეტი (იტალია), მონპელიეს უნივერსიტეტი (საფრანგეთი), თეორიული ფიზიკის საერთაშორისო ცენტრი, ტრიესტი, (იტალია), ოკლაჰომას უნივერსიტეტი (აშშ); მისი ციტირების ინდექსია 1356, h-21, g-35, სამეცნიერო კვლევების თემატიკა და შინაარსი ვაკანსიის პროფილის შესაბამისია და სრულიად აკმაყოფილებს მოთხოვნებს.

საკონკურსო კომისიისათვის შესაფასებლად წარმოდგენილი ერთი გამოქვეყნებული ნაშრომი: V. Jandieri, R. Khomeriki, L. Chotorlishvili, K. Watanabe, D. Erni, D.H. Werner, J. Berakdar, "Photonic Signatures of Spin-Driven Ferroelectricity in Multiferroic Dielectric Oxides", Physical review letters, 127, 127601. არის მაღალი ხარისხის სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც გამოქვეყნებულია WEB of Science მაღალი იმპაქტ ფაქტორის (8.1) მქონე ჟურნალში.

სამეცნიერო კვლევების კონცეფციაში კონკურსანტი დეტალურად აღწერს სამეცნიერო გეგმებს, კვლევის ობიექტებს, კვლევის აქტუალობას, კოლაბორაციას უცხოურ სამეცნიერო/აკადემიურ ცენტრებთან. კონკურსანტის სამეცნიერო ინტერესი უახლოესი მომავლისთვის იქნება არაწრფივი მოვლენების კვლევა ოპტიკა-ფოტონიკაში. კერძოდ კი, უკანასკნელი წლების განმავლობაში არაწრფივი მოვლენების თეორიული კვლევების მიმართულებით დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების მორგებას რეალისტურ ფიზიკურ სისტემებზე. კვლევის მიზანია ისეთი მასალების ამორჩევა, რომლებიც მაქსიმალურად ხელსაყრელია არაწრფივი ოპტიკის მთავარი ამოცანის გადასაჭრელად, როგორცაა არაწრფივი თვისებებით განპირობებული ეფექტების განხორციელება რაც შეიძლება დაბალ ოპტიკურ სიმძლავრეებზე და ნანომასშტაბებზე, რაც თანამედროვე ფიზიკის აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. სამეცნიერო კვლევების კონცეფცია ასევე გულისხმობს სამეცნიერო თანამშრომლობის გაძლიერებას არაწრფივი მოვლენების ფიზიკის კათედრის შიგნით კათედრის თანამშრომლებისა და სხვადასხვა საფეხურის სტუდენტების მონაწილეობით.

შესაბამისად კონკურსანტის საერთო შეფასება III კატეგორიის ორივე ნაწილში არის „მაღალი“

IV სხვა სახის აქტივობა: პოპულარული ლექციების კურსი მოსწავლეებისთვის საქართველოს ეროვნული ფონდის დაფინანსებით 2008-2009 სასწავლო წლებში, სტუდენტების ჩართვა სამეცნიერო საქმიანობაში (სტუდენტების თანაავტორობით გამოქვეყნებულია 7 სამეცნიერო პუბლიკაცია მაღალრეიტინგულ WEB of Science იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალებში); კომპიუტერული პროგრამების გამოყენება ფიზიკური ამოცანების მოდელირების სწავლებაში; ვიდეო კურსების მომზადება UNESCO-ს დაფინანსებით. უცხო ენების ცოდნა - ინგლისური და რუსული თავისუფლად.

**დამატებითი ინფორმაცია:** ფიზიკის სკოლის მოსწავლეთა საერთაშორისო საოლიმპიადო გუნდის ლიდერი 2019-დან დღემდე. მნიშვნელოვან როლს თამაშობს ამ მოსწავლეების ფიზიკით დაინტერესებისა და უნივერსიტეტში მოზიდვის თვალსაზრისით.

კომისიის გადაწყვეტილებით საერთო შეფასება IV კატეგორიის ორივე ნაწილის მიხედვით არის „მაღალი“.

**კონკურსანტის შეფასების პირველი ეტაპის დასრულების შემდეგ, დადგენილი პროცედურის დაცვით გაიმართა შეფასების მეორე ეტაპი - გასაუბრება.**

გასაუბრების ეტაპზე კომისიის წევრების მიერ პრეტენდენტს დაესვა შეკითხვები მათი სამეცნიერო საქმიანობისა და სამომავლო სამეცნიერო გეგმების შესახებ, საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ (მათ შორის სტუდენტის სამეცნიერო კვლევებში ჩართვის), და სხვა კითხვები, რომლებიც დაკავშირებულია უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალის შრომით და საგანმანათლებლო-სამეცნიერო საქმიანობასთან. კომისიის წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს პრეტენდენტმა ამომწურავი პასუხები გასცა. კომისიამ შეაფასა პრეტენდენტების პროფესიული უნარ-ჩვევები, დისკუსიაში ჩართულობა, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა.

გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტ რამაზ ხომერიკის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია ფიზიკის დეპარტამენტის არაწრფივი მოვლენების ფიზიკის კათედრის პროფესორის (კატეგორია ა) მოთხოვნებთან.

შეფასების პირველი და მეორე ეტაპების შედეგების ურთიერთშეჯერების საფუძველზე კონკურსის გამარჯვებულის გამოვლენის მიზნით ჩატარდა ფარული კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობას იღებდა კომისიის ყველა წევრი.

ფიზიკის დეპარტამენტის არაწრფივი მოვლენების ფიზიკის კათედრის პროფესორის (კატეგორია ა) გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა ერთხმად დაუჭირა მხარი რამაზ ხომერიკის კანდიდატურას.

საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამართლებულია ფიზიკის დეპარტამენტის და დეპარტამენტსა და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების საჭიროებით, მათი განვითარების პერსპექტივებით. გადაწყვეტილების მიღებისას კომისია დაეყრდნო კონკურსანტის აქტიურ განსაკუთრებით ნაყოფიერ და წარმატებულ აკადემიურ და სამეცნიერო საქმიანობას (სამეცნიერო პუბლიკაციების დიდი რიცხვი, ეროვნულ და საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობა, გამორჩეულად მაღალი ციტირების ინდექსი, სტუდენტების ჩართვა სამეცნიერო საქმიანობაში), გამოცდილებას (18 წლიანი პედაგოგიური სტაჟი), პროფესიულ უნარ-ჩვევებს და პიროვნულ თვისებებს, ასევე მის როლს უნივერსიტეტის მესამე მისიის განხორციელებაში (ფიზიკის საერთაშორისო ოლიმპიადის ნაკრების ლიდერი).

კომისიამ ერთხმად დაადგინა:

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის დეპარტამენტის არაწრფივი მოვლენების ფიზიკის კათედრის პროფესორის (ა კატეგორია) ერთ ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა ფიზიკის დოქტორი რამაზ ხომერიკი.
2. კომისიამ იმსჯელა უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ #118/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების წესის შესახებ და ერთხმად გაადგინა: შემაჯამებელი ოქმი გამოქვეყნდეს საჯაროდ უნივერსიტეტის ვებ გვერდზე და დასამტკიცებლად გადაეცეს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.


კომისიის წევრების ხელმოწერა

თარიღი 10.09.2024

პროფ. არჩილ უგულავა  
კომისიის თავმჯდომარე;



პროფ. ალექსანდრე შენგელაია  
კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;



პროფ. ნანა შათაშვილი  
კომისიის წევრი



ასოც. პროფ. თამარ ჭელიძე  
კომისიის მდივანი

